ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #50

ქ.თბილისი 16 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის მიხეილ ხაჩიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სი-ტი პარკი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბწოს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პარკირების საფასურის გადახდისა და პარკირების სისტემაში გააქტიურების მომსახურების შესყიდვა (CPV98351100).

1.2. ავტომანქანების სია მოცემულია დანართში #1.

2. მომსახურების გაწევის პირობები

2.1. მომსახურების შესყიდვა განხორციელდება 19 (ცხრამეტი) ერთეულ ავტომანქანაზე.

2.2. მომსახურების გაწევის ვადა: პარკირების სისტემაში გააქტიურებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარს.

3.1.1. 1 (ერთი) ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება მიმწოდებელს.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღის შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

4.3. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.5. ანგარიშსწორება განხორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.1.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

5.1.2 განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, უხარისხო (წუნდებული) ან არასრული მოცულობით გაწეული მომსახურების ან წარმოდგენილი საქონლის მიღებაზე;

5.1.3 ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–4 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;
5.2.2 დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
5.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველისათის ხარისხიანი მომსახურების გაწევა;
5.4.2 განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;
5.4.3 უზრუნველყოს მიწოდებულ საქონელზე და/ან მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით;
5.4.4 ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების ჩატარების დროს.

6. ინსპექტირება
6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად;
6.2 ინსპექტირებას განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მრჩეველი დავით გაგუა;

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;
7.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;
7.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
8.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს ოდენობით;
8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
8.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)
9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა
10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 16 ივლისამდე.

12. განსაკუთრებული პირობები
12.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
12.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;
12.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი ს/კ 204584404 მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა #7 სახელმწიფო ხაზინა	შპს „სი-ტი პარკ" მის.: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N47 სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE75TB7721336070100003 ს/კ 204543770
ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	გენერალური მენეჯერი
/მიხეილ ხაჩიძე/	/ბენიამინ ლაჰავ/

დანართი #1

#	ავტომანქანის მოდელი	სახელმწიფო ნომერი
1	KIA PICANTO	SS 023 CC
2	HYUNDAI ELANTRA	SS 033 CC
3	HYUNDAI ELANTRA	SS 019 CC
4	HYUNDAI ELANTRA	SS 017 CC
5	HYUNDAI ELANTRA	SS 014 CC
6	HYUNDAI ELANTRA	SS 018 CC
7	HYUNDAI I 20	SS 016 CC
8	HYUNDAI I 20	SS 015 CC
9	RENAULT DUSTER	SS 021 CC
10	TOYOTA HILUX 2.5	SS 024 CC
11	TOYOTA LAND CRUISER 78 4.2	SS 025 CC
12	TOYOTA LAND CRUISER 150	SS 022 CC
13	TOYOTA LAND CRUISER 200	SS 010 CC
14	TOYOTA LAND CRUISER 200	SS 011 CC
15	SHKODA OCTAVIA	SS 020 CC
16	SHKODA OCTAVIA	SS 030 CC
17	KIA CERATO	SS 550 CC
18	MITSUBISHI L200	SS 131 CC
19	MITSUBISHI L200	SS 114 CC

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი ს/კ 204584404 მის: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა #7 სახელმწიფო ხაზინა	შპს „სი-ტი პარკ“ მის.: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N47 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE75TB7721336070100003 ს/კ 204543770
ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	გენერალური მენეჯერი
/მიხეილ ხაჩიძე/	/ბენიამინ ლაჰავ/